საქართველო

8713-01-2-202003111224

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/8713
11/03/2020

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

საგარეო საქმეთა სამინისტროს 06/03/2020 № 01/8280 წერილზე დამატებით, გიგზავნით სიჩუანის პროვინციის მთავრობის დოკუმენტს, რომელიც ეხება საერთო ჯამში დაახლოებით 420 ათასი აშშ დოლარის (თითქმის სამი მილიონი იუანი) ღირებულის, შესაბამისი აღჭურვილობით კორონავირუსის (COV-19) გამოსავლენი 1008 (ათას რვა) ცალი ტესტის საქართველოსთვის საჩუქრის სახით გადმოცემის საკითხს.

ასევე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ჩინური მხარე დაფარავს აღნიშნული ტესტების ტრანსპორტირების ყველა ხარჯს და საელჩოს ჩართულობით უახლოეს პერიოდში გამოაგზავნის მათ თბილისში, ხოლო შესაბამის აღჭურვილობას, რაც აუცილებელი ატრიბუტია ამ პროდუქციის (ტესტების საერთო ღირებულების 80 პროცენტზე მეტი სწორედ ამ აღჭურვილობაზე მოდის - იხ. დანართი) მიმდინარე კვირის ბოლოს საკუთარი ხარჯებით საქართველოში ჩამოიტანს ჩინეთის მოქალაქე, თბილისში ჩინეთის სამრეწველო პალატის გენერალური მდივანი, ბ-ნი სტივ იუ, ვისაც ასევე დიდი წვლილი მიუძღვის აღნიშნული ტესტების საქართველოსადმი გადმოცემის საქმეში.

დანართი: 2 გვერდი

პატივისცემით, ,
დავით კერესელიძე

დეპარტამენტის დირექტორი
აზიისა და ოკეანეთის ქვეყნების დეპარტამენტი

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge